# სამშობლოსათვის

პარიზი, სამშაბათი 26 მაისი 1925 წ. | No. 2. | Paris, Mardi 26 Mai 1925

ეროვნული პოლიტიკის ორგანო. სპირიდონ კედიას რედაქტორობით.

Journal Géorgien «POUR LA PATRIE», Organe de la Politique Nationale, Directeur: SPIRIDON KÉDIA.

ფასი 2 ფრანკი

Rédaction et Administration: 9, Rue Oudinot — PARIS (7e)
Téléphone: Ségur 57-36

Prix: 2 frs.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო რუსეთისაგან საქართველო-კავკასიის გამოყოფის პროცესი. იმავ წლის ნოემბრის 22-ს თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელმაც ამოირჩია, საქართველოს საქმეთა გამგებელად, საქართველოს ეროვნული საბჭო.

1918 წლის მაისის 26-ს დაიშალა, ხუთი კვირის არსებობის შემდეგ, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი ფედერატიული რესპუბლიკა და ნაშუადღევის ხუთ საათსა და 10 წუთზე, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგი უკვდავი აქტი:




L'Assemblée Constituante de Géorgie élue au suffrage direct, égal, universel, secret et proportionnel des citoyens des deux sexes, déclare,á sa première séance du 12 mars 1919, devant le monde et l'histoire, qu'elle adopte intégralement et confirme l'acte d'indépendance de la Géorgie, proclamé par le Conseil National Géorgien, á Tiflis, le 26 mai 1918, à 5 h. 10 de l'aprés-midi, ainsi conçu:

## ACTE D'INDÉPENDANCE de la GEORGIE

Pendant plusieurs siècles, la Géorgie a existé comme Etat libre et indépendant.

A la fin du XVIII· siècle, pressée de tous côtés par des ennemis, la Géorgie s'allia volontairement à la Russie, à condition que la Russie s'engageât à défendre la Géorgie contre ses ennemis extérieurs.

Les événements de la Grande Révolution Russe ont créé une situation intérieure telle que le front de guerre s'est effondré entièrement et que la Transcaucasie a été évacuée par les armées russes.

Abandonnées à leurs propres forces, la Géorgie et avec elle, la Transcaucasie ont pris entre leurs mains le soin et la direction de leurs propres affaires et se sont donné des organes gouvernementaux appropriés. Mais la pression des forces extérieures a amené la dissolution des liens qui unissaient les peuples de la Transcaucasie et l'unité politique de celle-ci s'est effondrée.

La situation présente de la nation géorgienne commande impérieusement à la Géorgie d'avoir sa propre organisation d'État, en vue de prévenir, par ce moyen, la conquête du pays par les forces extérieures et de créer des bases solides pour son développement indépendant.

En conséqence, le Conseil National Géorgien, élu par l'Assemblée Nationale, le 22 novembre 1917, déclare:

1. La nation géorgienne rentre en possession de tous ses droits; la Géorgie est un Etat indépendant qui jouit de tous les droits de la souveraineté.

2. La forme de l'organisation politique de la Géorgie indépendante est la République Démocratique.

3. En cas de conflits internationaux, la Géorgie reste perpétuellement Etat neutre.

4. La République Démocratique Géorgienne désire avoir des relations amicales avec tous les membres de la communauté internationale et en particulier avec les Etats et les peuples voisins.

5. La République Démocratique Géorgienne garantit, dans les limites des son territoire, tous les droits civils et politiques, à tous les citoyens également, sans distinction de nationalité, de croyance, d'état social ou de sexe.

6. La République Démocratique Géorgienne ouvre à toutes les nationalités habitant son teritoire un champ libre à leur développement.

7. Jusqu'à la convocation de l'Assemblée Constituante, les affaires publiques de toute la Géorgie sont gérées par le Conseil National, avec adjonction des représentants des minorités ethniques, et par le gouvernement provisoire, responsa

## 26 მაისი.

ათას ცხრაას თვრამეტი წლის ოცდაექვსი მაისი!..

ერთი უდიდესი ისტორიული თარიღია ქართველი ერის ცხოვრებაში. ამ დღეს ბოლო მოეღო საქართველოს ას ჩვიდმეტი წლის მონობას და ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთზე იშვა მისი თავისუფლება. საქართველო კვლავ გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ქართველი ერი კვლავ შეიქმნა თავის ბედის უზენაესი გამგე.

სინამდვილემ გაბედული ნაციონალისტის ოცნებასაც-კი გაუსწრო. ხოლო სხვისთვის ეს იყო ნამდვილი გაუგებარი მოვლენა. საერთოდ კი, მთელი ხალხი გარემოიცვა ეროვნული თავისუფლების, ამ მისთვის სრულიად უცნობი სტუმრის, გადმოსულმა სინათლემ. მაგრამ ეს იყო მარტოკა და მხოლოდ სინათლე. მას სითბო არ შეჰქონდა ერის სულსა და სხეულში. დამოუკიდებლობას აკლდა პსიხოლოგიური შინაარსი და თავისი ეროვნული სუბიექტივიზმი.

თვით გარემოება, რომელშიაც მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, სწორეთ ნატვრის განხორციელება იყო: დარღვეული რუსეთი სამოქალაქო ომში იყო გახვეული; ცა და ქვეყანა მას ჰყავდა გადაკიდებული და სხვისთვის არასცალოდა. მის უღლის ქვეშიდან გამოსული ერები საკუთარ სახელმწიფოთა აგებას შეუდგნენ. საქართველო ისე იყო გაერთიანებული, როგორც არასდროს თამარის აქეთ...

უკეთესი პირობები არ სჭირდებოდა საქართველოს ახლად შობილ დამოუკიდებლობის თვითგანმტკიცებას.

მაგრამ ეს პირობები ვერ იქმნა გამოყენებული, ამ იშვიათ გარემოში ჩადგმულ დამოუკიდებლობის მომხიბლავ ჭურჭელს შინაარსი არ ჰქონდა, სული აკლდა. ვერ ვიგრძენით, თუ ეს რა განძი მოგვეძღვნა, თუ რა დიდი ბედი გვეწვია. არვინ იცოდა, თუ რა იყო ეს ეროვნული თავისუფლება. ცოცხალთაგანს არავის ახსოვდა სიმწვავე თავისუფლების დაკარგვის. იმ თაობისა ყველა საფლავში განისვენებდა. ხოლო ისტორია და ტრადიცია მიძინებული იყო ამ ჩვენს არსებაში: იმ ზომამდე, რომ 26 მაისის დღესასწაულებზე საზეიმოთ ვაცხადებდით, რომ სამშობლოს დამოუკიდებლობა ჩვენთვის კულტი არ იყო!!.. მართლაც, იგი უცხო ხილი იყო და ამ ხილს პირში გემო არ ჰქონდა.

დღეს საქართველოს სამი წლის დამოუკიდებლობა და მისი ოთხი წლის მტრის ოკუპაცია გვაშორებს პირველ 26 მაისს. განუზომელია გამოვლილი გარდაქმნა და გარბენილი მანძილი არსებული დამოუკიდებლობის შეთვისება და დაკარგულის დაბრუნების მოთხოვნილება მივიდა თავის ორგანიულ დასრულებამდე და უკვე მთელი ქართველი ერის შეგნებისა და მოქმედების მამოძრავებულ ძალად გადაიქცა. სამშობლოს თავისუფლებისათვის ერი იბრძვის; მას არ აშინებს შევიწროვება, სხვერპლი და სიკვდილი.

დამოუკიდებლობა ჩაშენდა თვით ქართველი ერის სულსა და სხეულში და ამით გახდა დაუმარცხებელი; მისი სუბიექტიური შინაარსი უაღრესათ მომზადებულია. ეხლა საქართველოს აქვს ის, რაც წინეთ აკლდა და რამაც დამოუკიდებლობა დააკარგვია. ეხლა დამოუკიდებლობა იდეა-ძალათ არის გადაქცეული. დღეს ქართველი თავის შეგნებით, ხერხით და ბრძოლის უნარით ათას სიძნელეს შეება, რომ საქართველოს პსიხოლოგიურ დამოუკიდებლობას ობიექტიური სინამდვილე მიანიჭოს.

26 მაისი ამ ორი მომენტის შეხვედრის მისწრაფებაა. მასზედ ფიქრობს და იბრძვის მთელი საქართველო. 26 მაისი ქართველ მოდგმოთა ეროვნული მიზნის საგანია. ამიერიდან იგია გადამბმელი ყოველი გასული თაობისა ყოველ მომავალ თაობასთან. იგი კვანძია ქართველი ერის უკვდავი მდინარების.

დღეს ერთად თავს მოიყრის და ერთის განცდით გაიმსჭვალება მთელი ქართველობა: დატანჯული სამშობლო და მის ჰაერს დანატრული, უცხოეთში გაფანტული ემიგრაცია. მთელი ქართველობა დღეს მოწიწებით თავს მოიხრის წმიდა სასაფლაოს წინაშე, სადაც სამშობლოსათვის დახოცილები განისვენებენ და მტკიცე ფიცს დასდებს, რომ იგი მათებრ იბრძოლებს 26 მაისის გასამარჯვებლათ.



ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს სამარადისო თაყვანისცემა 19 მაისის საფლავს.



## 19 მაისი.

ქართველი ერის წარსული აღსავსეა პატრიოტული თავგანწირულების მაგალითებით. არც ჩვენი დროა მას მოკლებული. მრავალი ქართველი გაიწირა ამ ბრძოლაში 1923 წლის მაისამდე და შემდეგ. ასე ვიცავდით ჩვენს ეროვნულს სახეს წარსულში. ასევე უნდა დავიცვათ იგი მომავალშიაც.

მაგრამ 1923 წლის 19 მაისი ეს არის გამარჯვების კურთხევის დღე. 19 მაისის გმირები პირველი სამირკველია მთელი ამ ჩვენი დროის თავდადების.

დიმიტრი თავდადებული, ქეთევან წამებული და ცოტნე დადიანი ერთად ესტუმრენ მრავალტანჯულ ჩვენს ერს და მას შთაბერეს ბრძოლის უმაგალითო გმირობის სული: „სიკვდილი ვერ შეგვაშინებს, ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია." -„ჩვენ ვკვდებით სიხარულით, რადგანაც ღირსი გავხდით სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა." -„ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!" ეს იყო უკანასკნელი სიტყვები ჩვენი სათაყვანებელი და გმირათ თავდადებული კოტე აფხაზის, ალექსანდრე ანდრონიკაშვილის, ვარდენ წულუკიძის... ასეთი ყოფილა ყოველთვის უკანასკნელი სიტყვები ჩვენი ისტორის საამაყო გმირებისა. ეს წმინდა ანდერძი გვეძახის ჩვენ და მომავალ თაობებს სამშობლოს წინაშე ვალი მოვიხადოთ.

და ჩვენ არ უღალატებთ ამ ანდერძს, საქართველოს დამოუკიდებლობის მაღალს იდეალებს, საუკეთესო მამულიშვილთა სისხლით შეღებილს ეროვნულს დროშას!

19 მაისის ხსოვნა არასოდეს მოშორდება ჩვენს ფიქრსა და განცდებს. მეორე წლის თავზე ყველა ქართველი მამულიშვილი შეპყრობილია ამ დღის სარწმუნოებრივი თაყვანისცემით.

მაგრამ 19 მაისის აღნიშვნა არ შეიძლება არც განცდებით და არც სიტყვებით, არამედ მხოლოთ ერთი საქმით: **საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით.** ამისათვის იბრძოდნენ და გაიწირნენ 19 მაისის გმირები. ამისთვის ვიბრძვით და გავიწირებით.

19 მაისი 1925 წ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთობის საკითხები.

საბჭოთა მოსკოვის შემოსევა, ეს იყო წითელი იმპერიალიზმის გამოლაშქრება საქართველოს დასაპყრობათ, მის დამოუკიდებლობის მოსასპობათ. თავიდანვე ეს ასეც დააფასა ქართველმა ხალხმა; ამიტომაც ბრძოლის სიმბოლოთ ეროვნული დროშა აუშვა და მის ქვეშ ერთ მებრძოლ ჯარათ დაირაზმა. ასე აღიმართა საბჭოთა მოსკოვსა და საქართველოს შუა ეროვნული კონფლიკტი მთელი თავისი უკომპრომისო ხასიათით. ამაშია საიდუმლო საქართველოს დაუშლელი სიმტკიცის მოსკოვის პირისპირ. ეს შეგნებული ეროვნული მომენტი ჰხსნის იმასაც, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საქართველო გაუნელებლათ იბრძვის, ისე როგორც ეროვნული ერთეული. ამავე დროს კი საბჭოთა კავშირის რუსულ ტერიტორიაზე თითქმის აბსოლუტური მორჩილება დამყარდა. ესაა იმის ახსნაც რომ საქართველოს და მის ბრძოლას სულ სხვა საერთაშორისო გამოძახილი ეძლევა.

საბჭოთა მოსკოვის ჯარების შემოჭრას რომ შინაური სოციალ-პოლიტიკური კონფლიკტის მნიშვნელობა მისცემოდა ქართველი ხალხის სულიერ განცდაში; რომ ეს მოვლენა ისე დაფასებულიყო, როგორც შინაური გადატრიალება; რომ ხალხის ერთ ნაწილს მასში დაენახა უბრალოთ და მარტივათ მენშევიკების ხელისუფლების დამხობა, ხოლო მის მეორე ნაწილს მარტო არასოციალისტური პარტიების ლიკვიდაცია და ყველა-კი იმაში დარწმუნებულიყო, რომ თვით საქართველოს დამოუკიდებლობა, თვით ქართველი ერის შეუვალობა ხელუხლებელი რჩებოდა, ეჭვს გარეშეა, საქართველოში ბრძოლის მთლიანი ეროვნული ფრონტი ცხოვრების აზრს იქნებოდა მოკლებული და ამიტომ ვერრას გზით ვერ დამყადრებოდა;ხოლო ცალკეთ კლასიური ან პარტიული ფრონტით ბრძოლა ან არ იწარმებდა, ან მეტად გაუბედავი იქნებოდა. მაგრამ თებერვალ-მარტის ამბების უაღრესათ ეროვნულმა სარჩულმა ჩვენში სულ სხვა სინამდვილე დაამკვიდრა. ერთი ეროვნული დროშა და ერთი ეროვნული ფრონტი ყოვლად აუცილებელი გახადა; თვით საგანთა ლოღიკის გარდაუვალ დასკვნათ გადაიქცა.

მეორეს მხრით საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლისა და გამარჯვების ინტერესის მიხედვით, უკვე მთელი აზროვნების ძალა და გონების დასკვნა შეგნებულათ გვავალებს რომ ეროვნული მთლიანობა და ბრძოლის ერთობა არ დაირღვეს, ვიდრე მტერი ჩვენს სამშობლოში დგას. ამიტომაც ვიყავით, ვართ და ვიქნებით ამ ერთობის მომხრე.

ვისაც ეროვნული გზა თავის სავალ გზათ აურჩევია, ვისაც სამშობლოს უზენაესობა სწამს და მის სუვერენობისთვის ბრძოლა თავის მოქმედების საგნათ გაუხდია, ყველა შეგნებულათ ამ ეროვნულ ერთობას უნდა დაადგეს. ეს გამარჯვების აუცილებელი პირობაა. მაგრამ უბრალო დეკლარაციის სფეროდან, ეს ერთობა უნდა ძირს ჩამოვიდეს და სინამდვილეში განხორციელდეს. სწორეთ ამ ადგილას და ამ მომენტში მას განსაცდელი უდარაჯებს. მართლაც, ამის შესასრულებლათ აუცილებელი ხდება ბევრი რამ საგნის დათმობა. უნდა მიტოვებულ იქმნას პირადი, ჯგუფური და კლასიური ინტერესი და ყველაფერი რაც ამ ინტერესთან არის დაკავშირებული, როგორც დოკტრინა, ან როგორც მოქმედება; უნდა დატოვებულ იქმნას პარტიული გეგემონიის სულისკვეთება და ყოველივე ის, რაც ამასთან არის გადაბმული; უნდა მიტოვებულ იქმნას ხელისუფლების ნაშთების ავადმყოფური სიყვარული და ნაცვლათ უნდა შეცნობილ იქმნას და უნდა მოეწყოს საერთო ეროვნული ხელმძღვანელი ორგანო, მიმდინარე ბრძოლის პირობების ცოცხალი საჭიროების მიხედვით და პირადი ღირსების კვალობაზე შერჩეულ პირთა საშუალებით— ყოველივე ეს სრულიათ ლოიალურათ და გულწრფელათ. როგორც ვხედავთ, ბევრ რამეზე უნდა აიღოს ხელი, ვინც კი შეგნებულათ ეროვნულ გზას დაადგება. არ არის უბრალო საქმე იმ წარსულის ლიკვიდაცია, რომელიც გუშინ შენი ძლიერების ფაკტორი იყო, ხოლო დღეს ხელის შემშლელი გამხდარა. საჭიროა თავისდაღწევა ფაკტიურათ უკვე გაუქმებულ უპირატესობათა ფსიხოლოგიური ტყვეობისაგან, საჭიროა ნამდვილი სხვერპლიც, საჭიროა სულიერათ თავის დაძლევა, რომ პარტიის კაცის მაგივრათ სამშობლოს კაცი გახდე და პარტიული პოზიციებიდან ეროვნულზე გადახვიდე. რაც უფრო მიუახლოვდებით ამ იდეალურ ვითარებას, იმდენათ უფრო მკვიდრი იქნება ჩვენი ბრძოლის პირობები.

შექმნილი გარემოების წყალობით, ეროვნული დოქტრინის და მოქმედების მთლიანობა, ეს ეროვნული ერთობა, უნდა დამყარდეს ორს სხვა და სხვა სივრცეზე, საქართველოში და საზღვარგარეთ, თვით ქართველ ხალხში და მის პოლიტიკურ ემიგრაციაში.

თვით საქართველოში,მტრის პირისპირ ყოფნამ და მასთან ბრძოლამ, ეს ერთობა ფორმალურიდან, ბევრი სიძნელის შემდეგ, ნამდვილ ერთობათ გადააქცია; და მერე ერთად დაღვრილმა სისხლმა იგი დაურღვეველი სანქციით დააგვირგვინა. ამ ერთობას ორგანიზაციულათ თავიდანვე „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ანსახიერებდა.

არ ითქმის ეს ერთობა იქ უფრო საჭირო ყოფილიყოს, ვიდრე აქ. იგი ერთნაირათ სავალდებულოა იქაც და აქაც. ემიგრაციის და ხალხის

ერთობა ერთმანეთს უნდა ჰარმონიულათ შეწნოდა. გარემოება ისეა მოწყობილი, რომ ქართველი ხალხი, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძვის, ანგარიშიდან ვერ ამოშლის პოლიტიკურ ემიგრაციას, რომელიც მისებრ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის იღწვის და რომელიც რიცხვთა შორის შეიცავს, დამოუკიდებლობის ემბლემათ, საქართველოს საელჩოს და ეროვნულ მთავრობას. დღეს ხალხი და ემიგრაცია ორი ფაქტორია ერთი და იგივე საქმის. ყველა ამიტომ, ხალხი ემიგრაციის გავლენას ძალაუნებურათ ემლევა. ეს მით უფრო, რომ ამ ბრძოლაში იგი სულიერათ მოკავშირეს დაეძებს და ამ მხრივათაც, საფუძვლიანათ თუ უსაფუძვლოთ, თვალყური აქეთკენ უჭირავს. ერთი სიტყვით, ყველაფერი ერთად რომ ავიღოთ, აქაურობა მისთვის ილუზიის წყაროთ არის გადაქცეული. სწორეთ ამიტომ, ემიგრაციის ოდნავი განძრევა საქართველოში დიდ გაქანებას იწვევს; მისი ოდნავი შეცდომა მთელი კატასტროფის ხასიათს მიიღებს. და თუ ამ შეცდომას აქ მარტოოდენ ტაქტიკის, ან შეფასების შეცდომა დაერქმევა და საქმე ამით ამოიწურება, საქართველოში მას ცოცხალი სხვერპლის სახეები მიეცემა. აქედან აშკარაა, რა დიდი სიფრთხილე, რა ხასიათის შეწონილობა და რა გონებამოკრეფილობა მართებს ემიგრაციას; აშკარაა, თუ რამდენათ აუცილებელი იყო აქაური ხელმძღვანელი ორგანოს გაეტაპებული კონტროლი და რამდენათ უუსაჭიროესი რომ ეს ორგანო ემიგრაციის გაერთიანებული ძალების ნამდვილი გამოსახულება ყოფილიყო. შემდეგ ნომერში დავინახავთ, თუ რა საბედისწერო სექტანტობა და რა ბოროტი ნებისყოფა გადაეღობა წინ ამის დაცვა-განხორციელებას.

**სპირიდონ კედია.**

---

## კავკასიის კონფედერაცია.

ამ წერილში ჩვენ არ ვფიქრობთ ამ საკითხის არსებითად განხილვას. დიდი საკითხია და თან ახალიც. მისი შეხება დაგვჭირდება მრავალჯერ და უფრო ვრცლათაც.

ამ ჟამად ჩვენ მას მხოლოდ ზოგადათ ვეხებით. ეს იქნება ცდა, რომ ეს საკითხი საჭირო აზრთა გაცვლა-გამოცვლის საგნად გახდეს ჩვენსა და ჩვენი მეზობელი ერების პოლიტიკურ წრეებში. ვიწრო ფარგლებში ეს საკითხი კარგა ხანია დგას, როგორც მნიშვნელოვანი საკითხი კავკასიის ერთა განმათავისუფლებელი პოლიტიკისა. დღეს იგი საკმაოდ მომწიფებულია რომ გახდეს უკვე საჯარო მსჯელობისა და პროპაგანდის საგნად უფრო ფართო [illegible] გადოებრივს ასპარეზზე.

ამ საკითხის ყოველმხრივი დამუშავება მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენი მომავალი პერსპექტივების ნათლად გათვალისწინებისათვის. მეზობელ ერებთან მომავალი პოლიტიკური ურთიერთობის წინასწარი გამომუშავება უთუოდ მეტს იმედიანობასა და რწმენას შეიტანს ჩვენს ერში, რომელიც ასე თავგანწირულად იბრძვის უცხო ბატონობის წინააღმდეგ. ასეთივე განწყობილებას შეიტანს იგი ჩვენს მეზობელს ერებშიაც. მომავალი პოლიტიკური შეთანხმების აუცილებლობის მიღება და შეთვისება ამ თავიდანვე გაადვილებს გულწრფელი და ერთმანეთის ნდობაზე დამყარებული თანხმობის განმტკიცებას საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. ამას ექნება ერთგვარი საერთაშორისო მნიშვნელობაც.

მართალია, კავკასია ფრიად მრავალფეროვანია როგორც გეოგრაფიულად, აგრეთვე ხალხთა რასიული თვისებების მხრივ. მაგრამ კავკასია მაინც მთლიანი ერთეულია. ის არ არის არც ევროპა და არც აზია. კავკასიით თავდება ევროპა აღმოსავლეთით და მითივე თავდება აზია დასავლეთით. ის არის შემაერთებელი ხიდი ამ ორი ქვეყნის. ის არის საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის ერთ-ერთი ფორპოსტი, მტკიცედ გამოყოფილი და გამოკვეთილი. კიდევ უფრო მთლიანია კავკასია პოლიტიკურად და სტრატეგიულად. ვინც იცავს აზიას ევროპისაგან, თუ ევროპას აზიისაგან კავკასიის მნიშვნელობას ერთნაირად უდგება. დღეს კავკასიის გარშემო თავი მოიყარა გაცილებით უფრო, ვიდრე წარსულში მრავალმა სხვადასხვა საერთაშორისო ძალამ და ინტერესმა ამიტომ კავკასია ან უნდა გახდეს ამ ძალთა მუდმივი შეჯახების ასპარეზი, ან უნდა მტკიცეთ შემოიფარგლოს, რომ ყველა ერთნაირ რეჟიმში ჩააყენოს. კავკასიის ზღუდეებთან, უკეთუ ის მტკიცედ აშენდა, ჰპოვებენ განელებას და ნეიტრალიზაციას ეს სხვადასხვა მიმართულებით მომავალი საერთაშორისო ინტერესები.

ჩვენთვის უდავოა და ნათელი, რომ კავკასიის ერებს თავიანთი თივისუფლების შენარჩუნება გაცილებით უკეთ შეუძლიანთ თუ ისინი იქნებიან პოლიტიკურად შეკავშირებული და საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებული. ამის აურაცხელ საბუთს გვაძლევს კავკასიის ერთა მრავალსაუკუნოვანი ისტორია. საკმაოდ დამაჯერებული უნდა იყოს ჯერ მარტო უკანასკნელი საუკუნის მაგალითები. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან რუსეთი იპყრობს მთელს კავკასიას: ჯერ საქართველოს, შემდეგ სომხეთს, აზერბაიჯანს და მთას. ერთი საუკუნის შემდეგ საბჭოთა რუსეთი კიდევ უფრო ადვილად იპყრობს კავკასიის ერებს ასევე

ეროვნული

ნაწილობრივ. ჯერ მთას, შემდეგ აზერბაიჯანს, სომხეთს და უკანასკნელად საქართველოს.

ჩვენთვის უდავოა, რომ ვერც მაშინ და ვერც ეხლა რუსეთი ვერ დაიპყრობდა კავკასიას, უკეთუ ის გაერთიანებული იქნებოდა რუსეთის წინააღმდეგ.

მაგრამ თუ ნათელი და უდავოა, რომ კავკასიის ერებს აქვთ გარდაუვალი საერთო ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები, რომელთა დაცვა მათ შეუძლიანთ მხოლოდ გაერიანებული ძალებით, იქნებ ასევე ადვილი არ იყოს ამის განხორციელება. ხოლო უმთავრესი კი სწორეთ ეს არის. კარგია საერთო მტრის წინაღმდეგ საერთო ციხის აგება, საერთო ზღუდის შემოვლება; მაგრამ იქნებ ეს არ არის მოსახერხებელი; იქნებ ამ საერთო ინტერესებს სძლევს სხვა ინტერესები ერთმანეთისადმი დაპირდაპირებული და საწინააღმდეგო. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია,შეუძლებელი გახდება კავკასიის გარშემო საერთო სამხედრო და პოლიტიკური ზღუდის შემოვლება' თითქოს ამაში უნდა გვარწმუნებდეს კავკსიის ერთა მთელი წარსული. კავკასიის ერებს მუდამ ემუქრებოდა მტერი ყოველი მხრითა და მიმართულებით. მიუხედავად ამისა, ეს ერები არასოდეს ყოფილან გაერთიანებული საერთო მტრის წინააღმდეგ. რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგაც, მთელი საუკუნის განმავლობაში, ვერ გაერთიანდენ საერთო ეროვნული მიზნების გარშემო. რუსეთისგან განთავისუფლების შემდეგაც ვერ მოახერხეს, რომ გაერთიანებულიყვნენ საერთო თავდაცვის ნიადაგზე. ამიერ-კავკასიის ფედერაცია არსებობდა მხოლოდ ხუთი კვირა; ამის შემდეგ როცა ცალ-ცალკე დამოუკიდებლათ მოწყნენ, მაშინაც ვერ დაამყარეს ერთმანეთში საჭირო ერთობა და ცალ-ცალკეთვე გახდნენ ახალი დაპყრობის მსხვერპლი. კავკასიაში საბჭოთა რუსეთის შემოსვლის შემდეგაც ვერ დამყარდა სათანადო მთლიანობა საერთო მტრის წინააღმდეგ, მებრძოლ ერთა შორის.

ყველა ასეთი ეჭვი საკმაოდ დამაფიქრებელი იქნება იმათთვის, ვინც ამ ფაქტებს არ შეაფასებს ისტორიული პირობებისა და იმ მოვლენათა მიხედვით, რომელთაც გარდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ ამ საკითხებში, მაგრამ იყვნენ კი გარდამავალი და არა მუდმივი. შორეულ წარსულში პოლიტიკური გაერთიანება იშვიათი იყო თვით ეროვნულს ერთეულებშიაც. კუთხობრივი დაქსაქსვა და დანაწილება, დინასტიებისა და სარწმუნოებრივ სხვადასხვაების გარშემო დარაზმულობა ამ დროის დამახასიათებელი მოვლენა იყო.

რუსეთის ბატონობას ერთის მხრივ უნდა წარმოეშვა კავკასიის ერთა გაერთიანება მათი ეროვნულ უფლებათა დასაცავად. მაგრამ ეს ადვილი არ იყო კავკასიის დასუსტებულ ეროვნულ ერთეულებისათვის. ეს პროცესი მაინც სწარმოებდა და ამ საუკუნის დასაწყისიდან მრავალი ნიშანი იყო ჩვენი და ჩვენი მეზობლების დაახლოვებისა ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში. ამ პროცესს რუსეთის პოლიტიკა, რასაკვირველია, ებრძოდა კავკასიის ერთა შორის დაქსაქსულობისა და უთანხმოების თესვით. რევოლუციის შემდეგაც არ დადგა შესაფერისი პირობები კავკასიის ერთა ეროვნულ დარაზმულობის შესაქმნელად. ოზაკომი, შემდეგ ამიერ-კავკასიის კომისარიატი, სეიმი და ყველა რევოლუციური ორგანო იყო ორგანიული ნაწილი რუსეთის რევოლუციური ძალა-უფლებისა, მხოლოდ გეოგრაფიულად და ფიზიკურად დაშორებული რუსეთის ცენტრს. ეს ორგანიზაციები არ იყვნენ კავკასიის ხალხთა ნებისყოფის გამომახილი. ისინი წარმოშვა რუსეთის რევოლიუციამ' რუსული სულითა და რუსული ლოზუნგებით. სეიმში ქართულ ეროვნულ იდეას მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ჰყავდა. არც ერთს კავკასიის ერს არ ჰქონდა დამუშავებული თავისი ეროვნული მოქმედების პროგრამა. ამის გამო გასაგებია, რომ ეს რუსეთის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ნაწილი თანდათან იშლებოდა. კავკასიის ერთა თავისუფალი ამოქმედების გზა სწორეთ ასეთი უნდა ყოფილიყო -რუსული ბატონობის ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია და საკუთარი ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა. არც ის უნდა ჩაეთვალოს დიდ დანაშაულათ კავკასიის ერებს, რომ ორიოდე წლის განმავლობაში ვერ შესძლეს რუსეთის ბატონობის ნანგრევებზე აეგოთ მტკიცე სახელმწიფოებრივი ცხოვრება. რევოლუციური ხანა ასეთი მუშაობისათვის მეტათ ცუდ პირობებს წარმოდგენდა.

რაც მაშინ ვერ მოესწრო, ის ვითარდება ეხლა. საერთო უღელი იწვევს საერთო წინააღმდეგობას. ამ ბრძოლის პროცესში ჩაისახა შესაძლებლობა კავკასიის ერთა შეთანხმებისა საერთო მიზნების მისაღწევად და მათი მტკიცე კავშირისა მომავლისათვის. ეს განწყობილება არ დაწყებულა ზევიდან. ის უშუალოდ აღმოცენდა კავკასიის ხალხთა აქტიურს წრეებში ამ უკანასკნელ წელთა განმავლობაში. იგი თანდათან ძლიერდება. კავკასიაში უცხო ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები დღეს გაცილებით უფრო დაახლოვებული არიან ერთმანეთთან, ვიდრე ეს იყო ჩვენი თავისუფლების დროს. ხელმძღვანელ წრეებშიც ძლიერათ ფეხს იკიდებს ეს პოლიტიკური განწყობილება. სტამბოლში არსებობს გაზეთი, „ჰიენი კავკაზ,“ რომელიც მესამე წელიწადია ჰქადაგებს კავკასიის ხალხთა გაერთიანებული ფრონტის საჭიროებას კავკასიის თავისუფლების აღსადგენათ; არსდება კავკასიის კონფედერატთა წრე, რომელიც აშკარად და გაბედულად აპირებს ამ პრობლემების დაყენებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის ერთა წინაშე. საქმეს მომავალი აქვს და ამ მომავლისათვის უნდა ვიმუშაოთ.

**ალ. ასათიანი.**

---

დ. პ. ბატონო რედაკტორო,

ქართველ ახალგაზდა პატრიოტთა საზოგადოება **„თეთრი გიორგი,“** რომელიც არის მტკიცე უწმიდესი მეფიცვა უტყუარი პატრიოტიზმით აღჭურვილ ქართველ ახალგაზდათა და რომელიც უკვდავ მიზნათ აღიარებს საქართველოს სახელმწიფოებრივ თვითმყოფობის მოპოებას, აღტაცებით ეგებება თქვენს ეროვნული პოლიტიკის ორგანოს „სამშობლოსათვის“ და ახალგაზრდული გულწრფელობით გისურვებთ, რომ წინაპართა გადმოცემული ეროვნული დროშა ენერგიული მკვლავით მუდმივ მძლავრათ ამართული ჰქონოდეთ და მის გარშემო დაგერაზმოთ ჭეშმარიტნი მამულიშვილნი, რომელთა სისხლსა და ხორცში ეროვნული შეგნების გარდუვალი სული მეფობს და რომელთათვის მამულისათვის თავდადება უწმიდესი მოვალეობა იქნება.

მიიღეთ ახალგაზდული ენერგიული სალამი და გვიგულეთ სამშობლოსათვის მებრძოლთა რიგებში მუდმივათ მყოფნი.

პარიზი, 18 მაისი.

ქართველ ახალგაზდა პატრიოტთა საზოგადოება
**„თეთრი გიორგი“**

---

**ფაქტები და ტენდენციები.**

---

საქართველო საზღვარგარეთ.

—საფრანგეთის ქართული ასოციაცია დღეს, 26 მაისს საღამოს ცხრა საათზე, „Salle des Hautes Etudes Sociales“-ში, 16 Rue de la Sorbonne, მართავს საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულ დღესასწაულს, საქართველოს მინისტრის ბ-ნი ა. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. დღესასწაული გაიხსება ეროვნული ჰიმნით. მოკლე სიტყვებს წარმოსთქმენ ბ-ნნი ა. ჩხენკელი დასპ.კედია. ქართული ხორო ბ-ნი პ. მოსულიშვილის ლოტბარობით შეასრულებს „მრავალჟამიერს,“ „ვახტანგ მეფეს,“ „ვარალალის“ და „გოგონას.“ სოლო სიმღერას იტყვიან ქ-ბნი ვაჩნაძე-ივერსენისა და ბ-ნი ნანობაშვილი. პიანოზე დაუკრავს ბ-ნი ირაკლი ორბელიანი. მოწვეულია გარეშე სტუმრები. მასპინძელია ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე

ბ-ნი რ. გაბაშვილი.

—კვირას, 24 მაისს დილის 10 საათზე ქართველ ახალგაზდა პატრიოტთა საზოგადოებამ „თეთრი გიორგიმ“ და ქართველ სტუდენტთა კავშირის გამგეობამ პანაშვიდი გადაიხადა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დახოცილ მებრძოლთა სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდს დაესწრო ქართული კოლონია და გარეშე პირები.

—კვირას 17 მაისს პარიზში შესდგა საფრანგეთში მყოფ ქართველ სტუდენტთა კავშირის დამფუძნებელი კრება. კრებას დაესწრო 28 სტუდენტი და ერთხმათ მიღებულ იქმნა კომისიის მიერ წარმოდგენილი წესდება. შემდეგ არჩეულ იქმნა გამგეობა სამი კაცისაგან შემდგარი: კავშირის თავმჯდომარეთ— ნიკო დგებუაძე,-წევრებათ გიორგი ნოზაძე და მიხეილ კედია. კანდიდატებათ კალე სალია და აკაკი მეუნარგია. კავშირის კონტროლიორათ ალექსანდრე ლორდელი.

ჟენევაში შესდგა „საერთაშორისო ასოციაცია საქართველოსათვის.“ ასოციაცია მიზნათ ისახავს საქართველოს ეროვნულ უფლებათა დაცვას. მისი თავმჯდომარეა ბ-ნი ჟან მარტენი, რედაქტორი ცნობილი ჟენევის გაზეთისა -„Le Journal de Genève,“ და საქართველოს დიდი მეგობარი.

—ნიუ-იორკში დაარსდა საქართველოს და კავკასიის მეგობართა საზოგადოება. მისი მიზანია, ეს ქვეყნები გააცნოს ამერიკის საზოგადოებას და გასწიოს მათი უფლების დაცვის პროპაგანდა.

—წელს პარიზის კოლონიაში მოეწყო რეგულიარი ლექციები საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის. ლექტორებათ მოწვეული არიან ბ-ნნი ექვთიმე თაყაიშვილი და სამსონ ფირცხალავა.

ბ-ნ კოკეს ლექცია.

საფრანგეთის გენერალური შტაბის პოლკოვნიკმა ბ-ნმა კოკემ საქართველოს შესახებ ლექციები წაიკითხა სორბონაში და საგეოგრაფიო საზოგადოებაში, ამ სათაურით: „ქვეყანა ოქროს ვერძისა.“ მან მკვეთრათ გადმოშალა საქართველოს ისტორიული სურათი და დიდის აღფრთოვანებით წარმოადგინა უკანასკნელი ოთხი წლის ბრძოლა და აგვისტოს აჯანყება. ბ-ნი კოკე, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის ერთგული მეგობარია, მოუწოდებს ფრანგის საზოგადოებას ხელი შეუწყოს საქართველოს.

—ქართველთა „სამხედრო კავშირი“ საღამოს მართავს ივნისის ოცს.

—ქართველ მოსწავლე ახალგაზდობამ საკუთარი პატრიოტული ორგანიზაცია დაარსა. აპირებს თავის ორგანოს გამოცემასაც.

—დაიწყო საორგანიზაციო მუშაობა ქართველ პატრიოტ ქალთა საზოგადოების დასაარსებლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—კომპოზიტორმა და პიანისტმა ირაკლი ჯაბადარმა „Champs Elysées“ თეატრში თავისი კონცერტი გამართა. გარდა ორიოდე ნომრისა, დანარჩენი საკუთარი ნაწარმოები შეასრულა. ქართული მუსიკის ორიგინალობამ ცხოველი ყურადღება მიიქცია.

—პიანისტმა ირაკლი ორბელიანმა გამართა თავისი მორიგი კონცერტი. მზნე მუშაობა შესამჩნევათ აწინაურებს ახალგაზდა პიანისტის ნიჭსა და ხელოვნებას.

—შესდგა ქართული ხორო ბ-ნ პ. მოსულიშვილის ლოტბაროზით. ხორო პირველად გამოვიდა ქართულ საღამოზედ. შემდეგ თავისნ საკუთარი კონცერტი გამართა. მიწვეულ იქმნა აგრეთვე პარიზის დიდ ოპერაში ფრანგის სტუდენტთა ტრადიციულ საღამოზე. ხორო ყოველგან კარგ შთაბეჭდილობას სტოვებს. იგი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო შეჯიბრებაში პარიზის დეკორატიული ხელოვნების მსოფლიო გამოფენაზე.

—საქართველოში მტრის შემოსევის წლის თავზე, ვარშავის ქართველმა კოლონიამ მართლ-მადიდებელ ეკლესიაში ღირსეული სამგლოვიარო პარაკლისი გადაიხადა. პარაკლისს ბლომათ დაესწრო პოლონელი და უკრაინელი საზოგადოება. გაიმართა აგრეთვე სამგლოვიარო მესსა კათოლიკურ ეკლესიაში. მწირველი იყო არქიეპისქოპოზი როპი, რომელმაც მხურვალე სიტყვა მიუძღვნა საქართველოს და მის დახოცილ და გადარჩენილ გმირებს.

—მძიმეთ დაშავდა, უცაბედი შემთხვევის გამო, პ. ი. თუმანიშვილი, ვარშავის ქართული კოლონიის თავმჯდომარე. ამან საერთო მწუხარება გამოიწვია, ვინაიდან ბ-ნი პ. თუმანიშვილი მეტათ მძიმე პირობებში, იშვიათის ენერგიით მუშაობდა კოლონიისათვის.

---

—აზერბეიჯანის დელეგაციის თავმჯდომარემ, ბ-მა ალიმანდან ბეგ თოპჩიბაშევმა, ჩვენს შეკითხვაზე, მართალი იყო თუ არა „ახალ საქართველოში“ მოთავსებული ცნობა, თითქოს მას ეთხოვოს სამშობლოში დაბრუნების ნებართვა, განაცხადა რომ ეს ახალი ამბავი ბოროტი ცილის დაწამება იყო და სხვა არაფერი.

---

## ბოლშევიზმი და მის წინააღმდეგ.

ბულგარეთი: ბოლშევიკებს განძრახული ჰქონდათ 15 აპრილს მეფის რეჟიმის დამხობა და საბჭოების შემოღება. 14-ს მეფეს თავს დაესხნენ. მეფე გადარჩა. 18-ს ტაძარში ჯოჯოხეთის მანქანა ააფეთქეს. 300 მეტი დაიჭირა 150 მოკლულ იქმნა. მთავრობამ არეულობა გასრისა. 2000 მეტი აგრარო-კომუნისტია მოკლული,

საფრანგეთი: 23 აპრილს ღამე პარიზში ჩასაფრებულმა კომუნისტებმა საარჩევნო კრებიდან გამოსულ ხალხს ზურგში ტყვიები დაუშინეს. მოკლეს 4, დასჭრეს 40. სხვერპლებს პარიზმა დიდი გასვენება გაუმართა. მთავრობამ მონაწილეობა მიიღო.

—საფრანგეთის მთავრობის მოთხოვნით, რუსეთის საელჩოს პირველი მდივანი ვოლინი ადგილიდან მოხსნეს.

ინგლისი: ლონდონში აღმოაჩინეს კომუნისტების შეთქულობა ჩემბერლენის წინააღმდეგ. —ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის სიტყვაში 16 მაისს სთქვა: „ს.ს. კავშირი ემუქრება ჩვენს ცივილიზაციას, ჩვენს კონსტიტუციას...იგი ომზე ხელს არ იღებს; მისი პროპაგანდა არ გვისვენებს...ინდოეთი ბოლშევიკური კამპანიის ერთი უმთავრესი საგანია... დრო დადგა ინგლისის მთავროპამ სთქვას: ჩვენს ქვეყანაში ბატონი ჩვენ უნდა ვიყოთ. უნდა მივიღოთ საჭირო ზომები, რომ ამას ბოლო მოეღოსო.

—12 მაისს ინგლისის მთავრობამ თემთა პალატაში განაცხადა,-ჩვენი პოლიტიკა ისაა, რომ საბჭოთა მთავრობას და მის აგენტებს კრედიტი არ მიეცეს, ვიდრე მოსკოვი სრული ნდობის პირობებს არ შექმნისო.

—კონსერვატორ დეპუტატთა დელეგაციამ სთხოვა ჩემბერლენს უსასტიკესი ზომები მიიღოს ბოლშევიკური მოქმედების აღსასკვეთად ინგლისში.

—„Daily Mail“-ი ფიქრობს, რომ ინგლისის მთავრობა საფრანგეთის მთავრობასთან ერთად ითვალისწინებს ანტიბოლშევიკურ ზომებს.

—ინგლისის მთავრობამ ოთხასზე მეტ საბჭოთა წარმომადგენელს დიპლომატიურ პასპორტი ჩამოართვა-

—მოსკოვის საბჭოთა ყრილობა დასრულდა ოც მაისს. არჩეულ იქმნა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირს აღმასრულებელი კომიტეტი (სულ 832 წევრი), რომელიც ორი პალატისგან შესდგება, ერთია კავშირის საბჭო და მეორე ეროვნებათა საბჭო. კავშირის საბჭოში ითვლება 450 წევრი; აქედან 300 ველიკოროსიის წარმომადგენელია, 75 უკრაინის 13—ბელორუსეთის და 30 ამიერ-კავკასიის და სხვ... ეროვნებათა საბჭო შესდგება კავშირის თითეული რესპუბლიკის ხუთ-ხუთი წარმომადგენლისგან; ავტონომიურ რესპუბლიკებს და ავტონომიურ კუთხეებს აქა ჰყავთ თითო-თითო წარმომადგენელი. საქართველო ეყოლება ხუთი წარმომადგენელი·

—ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის სახელმწიფო ბანკები შეთანხმდნენ, რომ სესხი არ მისცენ არც საბჭოთა მთავრობას და არც მის ორგანიზაციებს.

Le Gérant: Félix Kaldenbach.

Imp. DANZIG, 26, Rue des Francs-Bourgeois, PARIS